მარტივი საბუღალტრო ოპერაციის მაკროსის აწყობა

ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე შესაძლებელია არსებობდეს ისეთი ოპერაციები რომლებიც ხშირად მეორდება. ასეთი შემთხვევებისთვის სისტემა საშუალებას იძლევა ავაწყოთ მაკროსი, რომელიც ავტომატურად შეასრულებს საბუღალტრო გატარებებს და დააფორმირებს შესაბამის რეპორტს. განვიხილოთ მაკროსის აწყობის და რეპორტის ფორმირების მაგალითები:

- 1. მარტივი საბუღალტრო ოპერაციის მაკროსის აწყობა
- 2. <u>მნიშვნელობების მოთხოვნა</u>
- 3. <u>რეპორტის აწყობა</u>

მარტივი საბუღალტრო ოპერაციის მაკროსის აწყობა.

ვნახოთ როგორ ხდება სისტემაში მარტივი მაკროსის აწყობა. მაგალითისთვის განვიხილოთ სალაროდან ბანკში თანხის შეტანა მიმდინარე დღის თარიღით. გამოიძახეთ მენიუ "ამოცანები/ადმინისტრირება/მაკროსები". იხილავთ მაკროსების სიას, რაც სისტემას მიყვება. ახალი მაკროსის დასამატებლად დააჭირეთ დამატების ღილაკს- 🗅. გამოსულ ფანჭარაში ველში დასახელება მიუთითეთ MyMacro, ხოლო კომენტარში-"თანხის შეტანა სალაროდან ბანკში"

厉 ახალი მაკროსი	
მშობელი	
დასახელება	MyMacro
ტიპი	0 - უნივერსალური მაკროსი. 🔹
	🔲 გაუშვათ სისტემის დასტარტვისას 🔲 დავმალოთ (არ ვაჩვენოთ და არც გაუშვათ)
კომენტარი	თანხის შეტანა სალაროდან ბანკში
	OK Close

დააჭირეთ ღილაკს OK. ნახავთ რომ ჩვენს მიერ დამატებული მაკროსი დაემატება მაკროსების სიაში.

2	OrisAccounting - [მაკროსები]			• ×
Ţ	🗾 ფაილი რედაქტირება ხედვა ამოცანები ინს(ტრუმენტები ფანჯარა(Window) დახმარება		_ 8 ×
÷	0 😘 🗁 🗶 🐚 📋 🋊 🕴 🖾 🗛 🔽 • 🖗 🗅	- 100 مەنچەچەر دە 🔃 🔹 👘 🔹 👘 🔹	01.01.2021-01.01.2022 🕴 📑 🍒	
	კომენტარი	დასახელება	∱↓ მაკროსის ტიპი	საწყის
	Download tax document of debited advance	DownloadAdvanceTaxDocument	0 - უნივერსალური მაკროსი.	
	Import of Z amounts of POS-terminal	ImportZSums	0 - უნივერსალური მაკროსი.	✓
	Exchange	Exchange	0 - უნივერსალური მაკროსი.	✓
>	🕂 Retail sale	RetailSale_Easy	0 - უნივერსალური მაკროსი.	✓
U	Retail sale parameters	RetailSaleParameters_Eeasy	5 - დამხმარე მაკროსი.	
	- Import expense accrual from Excel	ExpenseAccrualFromExcel	0 - უნივერსალური მაკროსი.	•
	Import income accrual from Excel	ExpenseIncomeFromExcel	0 - უნივერსალური მაკროსი.	•
	Import POS commined promotions from hereby	POS_DATA_IMBORT	<u>0</u> - უნივერსალური მაკროსი.	•
	თანხის შეტანა სალაროდან ბანკში	MyMacro	0 - უნივერსალური მაკროსი.	
1 1				

მაკროსში ცვლილებების შესატანად, ფორმულების დასაწერად გავხსნათ მაკროსი. ამისათვის ღილაკების სისტემიდან დააჭირეთ ღილაკს 😼 .



იხილავთ ეკრანს, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან. ძირითად ეკრანში ხდება მაკროსის ოპერატორების (ფორმულების) დამატება , ხოლო ეკრანის მარჯვენა მხარეს მოცემულია სისტემის მიერ გამზადებული ობიექტების სია, რომელიც დაგვეხმარება მაკროსების წერაში.

5	მაკროსი [MyMacro]				
	ფაილი რედაქტირება ხედვა	ინსტრუმენტები			
	🖥 D • 🗞 😂 🕼 🗙 🛊	* 🗰 🔶 🔺 🗎 🗎	🗏 😫 🗞 💖 🦽 🗞 🏷 🎊	😂 • 🗛 💽 • 📑 📑 💷 🗞 🕨	I 🧐 O 💥 🖾 🔟 📗
	ცვლადი	ბრძანების ხაზი	კომენტარი	შედეგი	Business object
					+ Memory object
					+ Statements
					Functions
	მაკროსის (ოპერატორების, ფო(რმულების შესატანი არე		+ Wizard object
					🕂 Interface object
					🕂 File object
					🗄 Report object
				სისტემის მიერ	
				გათხადებული ობიეე	ტები
				B	usiness object

ჩვენი მიზანია მაკროსის "MyMacro" საშუალებით დავამატოთ ოპერაცია, რომელიც შეასრულებს ორ გატარებას; დაადებეტებს ბანკის ანგარიშს და დააკრედიტებს სალაროს ანგარიშს. ოპერაციის დასამატებლად შეგვიძლია გამოვიყენოთ სისტემის მიერ გამზადებული ბიზნეს ობიექტი (BusinessObject), რომელიც მდებარეობს ეკრანის მარჯვენა ნაწილში. ჩამოწიეთ სასრიალო ზოლი ქვევით და გაშალეთ "BO_Transaction" (ბუღალტრული გატარებები)



ახალი ოპერაციის დასამატებლად აირჩიეთ "AddNew" ფუნქცია მასზე მაუსის ორჭერ დაჭერით. რადგან თითოეულ ოპერაციას ახლავს გატარებების სიმრავლე, ამიტომ გამოვიყენოთ "GetDataTableEntries" ობიექტი, რათა მივიღოთ გატარებების ცხრილი. აირჩიეთ "GetDataTableEntries" მასზე მაუსის ორჭერ დაჭერით. დაინახავთ, რომ ძირითად ეკრანში გამზადდება ოპერაციის შესასრულებლად საჭირო ბრძანებები.



"Table1" იქნება გატარებების ცხრილი. სწორედ ამ ცხრილში უნდა დავამატოთ გატარებები, მივანიჭოთ ანგარიშები, თანხა და ა.შ.

ამავე ეკრანში შესაძლებელია ეკრანზე გამოვიტანოთ ცვლადების არე, რომელშიც განთავსდება მაკროსის შესრულების შედეგად შევსებული ცვლადების სიდიდეები. ამისათვის აირჩიეთ მენიუ "ხედვა/ცვლადების სიდიდეები"



იხილავთ ეკრანს

5	მაკი	როსი [MyMacro]					l	<u> </u>
	ფაილ	ი რედაქტირება ხ	ედვა ინსტრუმენტები					
		0 • 🔓 🖉 🕻	🔨 🛧 🗰 👗 🛅 🗏 😫 🗐 🐼 🔏 🎘 🚿	i 🎒 🕶 🛤 💀 🕶 📪 💷	• %	Þ	II 🕾 🌒 🐹 📝 📰 🦉	<u>></u>
		ცვლადი	ბრძანების ხაზი	კომენტარი	Ø		- Delete	^
Ш	▶ 1	Variable1	BO_Transaction.AddNew(ActiveDatabase , True)		Ŷ		 Duplicate 	
Ш	2	Table1	BO_Transaction.GetDataTableEntries()		Ŷ		-Get	
Ш							GetDataTable	
Ш						T 1	⊢ GetDataTableEntries	
Ш					Fills	Trans	sactions data table using Filter_Strin	g and
Ш					SOF	RT_St	ning.	
Ш								
Ļ	•							
								•
			ცვლადების არე					
Ш								
Ш								

•	ინს	<u>ტრუმენტები</u>	
1	6	Print (Ctrl+P)	
_	緧	მიეზა	Ctrl+F
	•	Style (F10)	
	••	ხის შეკუნშვა	
	€_	ნის გაშლა	
	Þ	<i>ს</i> კვემვათ	F5
	П	გავაჩეროთ	Shift+F5
		გავმართოთ	

ღილაკით b ხდება მაკროსის გაშვება (შესრულება). დააჭირეთ აღნიშნულ ღილაკს, რომ შევქმნათ ცვლადები და ვნახოთ თუ რა მნიშვნელობები მიენიჭება მათ. ყურადღება მიაქციეთ, რომ ეკრანის ქვედა ნაწილში "ცვლადების არეში" გამოჩნდება ცვლადების ჩამონათვალი, სადაც შეგეძლებათ ნახოთ თუ რა მნიშვნელობები მიიღო თითოეულმა ცვლადმა (ჩვენს შემთხვევაში: Table1, Variable1) და აქვე ჩანს ცვლადის ტიპი: ტექსტურია, რიცხვითი, კი და არას ტიპის და ა.შ. (ჩვენს შემთხვევაში: კი/არა-ს დროს Boolean, ცხრილის შემთხვევაში Emtry)

Variables		
Name	Value	VarType
Table1		Empty
Variable1	True	Boolean

Varialble1-ს მიენიჭა მნიშვნელობა True. ანუ შეიქმნა ტრანზაქცია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ მონაცემთა ბაზაში დაემატება ტრანზაქცია ცარიელი გატარებით. ოპერაცია დაემატა მხოლოდ სისტემის მეხსიერებაში.

ცვლადების არეში ჩამოშალეთ ველის - "Variables" გასწვრივ ჩამოშლადი სია.

Variables	-
Variables	
Table1	

აირჩიეთ "Table1". იხილავთ ბიზნეს ობიექტის მიერ დაფორმირებულ გატარებების ცხრილს.

9	- - - - - - - - - - - - - - 	როსი [MyMacro]								- 🗆 🗙	
Γ	ფაილ	ი რედაქტირება I	ხედვა ინსტრუმენ	ტეზი							
	■ D + ¹ N 22 27 × ↑ + + → X 1N 11 Ξ ≌ ♥ ♥ ≫ ≫ ≫ ≫ ≫ ∞ - ⊕ + M 12 + 13 ∞ 12 ▶ 1 ⁵ 2 ● P										
		ცვლადი	ბრძანები	ს ხაზი				BO_Tools		* *	
	▶1	Variable1	BO_Tra	nsaction.AddNew	r(ActiveDatabase	, True)		BO_Transaction.GetDataTableEntries			
1	2	Table1	BO_Tra	nsaction.GetData?	TableEntries()			methods.	data table. Use it after	Get of Addinew	
d											
	•						Þ				
	Table	1								•	
		OA_Transactior	Account	Account name	Debit amount	Credit amount	Currency	Debit quantity	Credit quantity	Unit	
	▶ 1						GEL	0	0		
	•	III								١.	

როგორც ხედავთ გატარებების ცხრილში ავტომატურად დაემატა ერთი ჩანაწერი. ისევე როგორც თვითონ "ორის ბუღალტერიაში" საბუღალტრო გატარების დამატებისას, აქაც გამზადებულია ერთი "მთავარი" გატარება. აქვე ნაჩვენებია გატარებაში მონაწილე ყველა ველი, რომლებიც ჩვენ უნდა შევავსოთ. ამ ჩანაწერს შევუვსოთ ანგარიშის და თანხის ველები. ვნახოთ როგორ ხდება ცხრილში არსებული ჩანაწერისთვის მნიშვნელობების მინიჭება. ანგარიშის ნომრის მისათითებლად მონიშნეთ ცხრილის ქუდი "Account", რათა ცხრილში მნიშვნელობის მინიჭების ფუნქციამ ავტომატურად დააფორმიროს იმ ცხრილის და ველის დასახელება, სადაც შეგვაქვს მნიშვნელობები.



ფორმულების არეში დადექით ცვლადზე "Table1" და ეკრანის მარჭვენა მხარეს არსებული ობიექტების მენიუდან აირჩიეთ "Memory object/Tables/SetFieldValue" მასზე მაუსის ორჭერ დაჭერით.

🛜 მაკ	როსი [MyMacro]	ALC: NO. R. D. D.	10.00	Contractory of								□ X
920C	ი რედაქტირება ხედვა	ინსტრუმენტები										
: 🖬	D + ' b & Ø X	* * * * % 🗈 🗎	🗏 🚆 🕅 🕅	A 1/2 1/2 1/2	/%• ∶⊜•A	🛐 🔻 📪 🎼 🍽	• 🖕 🕨 19		K 🜌	xmi 🌌		
	ცვლადი	ბრძანების ხაზი				კომენტარი		შე	÷	Memory object		^
1	Variable1	BO_Transaction.AddNey	v(ActiveDatabase	, True)				Tn	9	- Tables		
2	Table1	-BO_Transaction.GetData	TableEntries()						Ø	AddTable		
▶ 3	Variable2	L Tables.SetFieldValue("T	able1", 1, "Accour	ıt", "")					Ŷ	RemoveTabl	e	
									Ø	-CopyTable		
									8	- TableCount		
									Ŷ	Get lableNar	ne	
									Å	- Clear Table		Ε
									×			
									6		ump	
									2			
									Ø	GetFieldValu	e	
									Ø	GetFieldValu	eBinary	
									Ø	- SetFieldValu	e	_
									Tables	C-tC-LO(-h		
									Sets dat	a table field value.		
•								+				_
Table	e1											•
	OA_Transaction Ac	count Account name	Debit amount	Credit amount	Currency	Debit quantity	Credit quantity	Unit		Cost centre	Cost unit	Amou
												calCula
▶ 1					GEL	0	0			საერთო ღი	საერთო ღი	

ბრძანების ხაზში Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Account", "") ფუნქციის პირველი პარამეტრი "Table1" არის გატარებების ცხრილი, ფუნქციის მეორე პარამეტრი -1 აღნიშნავს ჩანაწერის ინდექს, ჩვენს შემთხვევაში პირველ გატარებას. ფუნქციის მესამე პარამეტრი "Account"- ანგარიშის ველს, ხოლო მე-4 პარამეტრში უნდა მივუთითოთ ანგარიშის ნომერი, მაგალითად "1210". ანგარიში მოათავსეთ ორმაგ აპოსტროფებში, რადგან ანგარიშის ნომერი, სიმბოლური ტიპისაა და არა ციფრული. ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი, ორჯერ დააწკაპეთ ამ ფორმულაზე და მიუთითეთ ანგარიშის ნომერი. საბოლოდ ფორმულას ექნება შემდეგი სახე Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Account", "1210"). ამავე ცხრილში შევავსოთ სადებეტო თანხის ველიც. ამისათვის ცვლადების არეში მონიშნეთ ცხრილის ქუდი "Debit amount", ისევ აირჩიეთ Memory object/Tables/SetFieldValue" და ბრძანების ხაზში მე-4 პარამეტრში მიუთითეთ 250 ლარი - Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Debit amount", 250). ვნახოთ როგორ შეავსებს ჩვენს მიერ დაწერილი მაკროსი გატარებების ცხრილს. ღილაკების ზოლიდან აირჩიეთ ღილაკი

in 19	აკროსი [MyMacro - (copy]		-				-	-			X	
gyu	ფაილი რედაქტირება ხედვა ინსტრუმენტები												
	┆ 🖬 D → 🕆 & ∅ 🚺 🗙 ♠ ♦ ¾ 🐚 📋 🗏 😫 � � ♥ Ѧ 🚿 ≫ ≫ ∞ → ┆ Ӛ → Ѩ 💀 → 📪 💀 ▶ № ● 😻 ∅ 📟 छ												
	ცვლადი ბრბანების ხაზი										Business object		
1	1 Variable1 BO_Transaction.AddNew(ActiveDatabase, True)								• Memory object				
3	2 Table1 3 Variable2 — Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Account", "1210")								+ Function	s			
4	4 Variable3 - Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Debit amount", 250)									• Wizard o	bject		
											Business object		
•									۴.				
Tal	ble1											•	
	OA_Transaction	Account	Account name	Debit amount	Credit amount	Currency	Debit quantity	Credit quantity	Unit	Cost centre	Cost unit	Amou calcula	
•	1	1210	ეროვნული	250	0	GEL	0	0		საერთო ღი	საერთო ღი		
•												- F	
Tab	les Data sets Error	DPCC											

აირჩიეთ "Table1"

როგორც ხედავთ ტრანზაქციაში პირველი გატარება შეივსო საჭირო რეკვიზიტებით.

მეორე გატარების დასამატებლად გატარებების ცხრილში "Table1" ჭერ უნდა დავამატოთ ჩანაწერი, ხოლო შემდეგ ჩვენს მიერ დამატებულ ჩანაწერს მივანიჭოთ ანგარიშის ნომერი და თანხა. ჩანაწერის დასამატებლად ბრძანების არეში დადექით ბოლო ცვლადზე და ობიექტების სიიდან აირჩიეთ "Memory object/Tables/ AddNewRecord". ამის შემდეგ თანმიმდევრობით მონიშნეთ ჭერ ცხრილის ქუდი "Account", აირჩიეთ Memory object/Tables/SetFieldValue და მიანიჭეთ მას მნიშვნელობა "1110". გაითვალისწინეთ, რომ ამ შემთხვევაში მე-2 პარამეტრში ჩანაწერის ინდექსად უნდა გადასცეთ 2 (მე-2 გატარება). შემდეგ მონიშნეთ ცხრილის ქუდი "Credit amount" და SetFieldValue ფუნქციის გამოყენებით მიუთითეთ თანხა, საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე

	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	-BO_Transaction.AddNew(ActiveDatabase , True)
2	Table1	-BO_Transaction.GetDataTableEntries()
3	Variable2	-Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Account", "1210")
4	Variable3	-Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Debit amount", 250)
5	Variable4	Tables.AddNewRecord("Table1")
6	Variable5	-Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Account", "1110")
7	Variable6	Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Credit amount", 250)

ვნახოთ როგორ შეავსებს ჩვენს მიერ დაწერილი მაკროსი გატარებების ცხრილს. გაუშვით მაკროსი შესრულებაზე ღილაკით 🕨 და ცვლადების არეში ჩამოშლადი სიიდან აირჩიეთ "Table1"

elenge linikingere - ce	opy]										a x
ი რედაქტირება ხ	ბედვა ინსტრუმენ	ტები									
0 • 🔓 🕼 🕻	× + + + -	🔶 👗 🛅 📋	≣ 😫 🧐 💕	1 1/2 1/2 1/2 1	/‰- : ⊜ -M	• 📑 📑 💀	• 🖫 🕨 🛛 🧏	I 😐 💥 🗾 🖩	mi 💋		
ცვლადი ბრმანების ხაზი									Business obje	ct	
Variable1		_BO_T	ransaction.AddNe	ew(ActiveDataba	se , True)				• Memory obje	ct	
Table1		-во_т	ransaction.GetDa	taTableEntries()					+ Statements		
Variable2		- Table	s.SetFieldValue("	Table1", 1, "Acco	unt", "1210")				+ Functions		
Variable3		- Table	s.SetFieldValue("	Table1", 1, "Debit	amount", 250)				+ Wizard object	t	
Variable4		- Table	s.AddNewRecord	("Table1")					Interface obje	ct	
Variable5		- Table	Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Account", "1110")						+ File object		
Variable6		- Table	s.SetFieldValue("	Table1", 2, "Credi	it amount", 250)				Report object		
		III						•			
21											•
OA_Transactior	Account	Account name	Debit amount	Credit amount	Currency	Debit quantity	Credit quantity	Unit	Cost centre	Cost unit	Amou calcula
	1210	ეროვნული	250	0	GEL	0	0		საერთო ღი	საერთო ღი	
	1110	ნაღდი ფულ	0	250	GEL	0	0		საერთო ღი	საერთო ღი	
											÷.
	n nggsgonngs 12 Ggcgsago Variable1 Table1 Variable3 Variable4 Variable5 Variable5 Variable6 I OA_Transaction IIIIIIIIIIIIIIIIIIIIIIIIIIIIIIIIIIII	n forgeldonfords bages offeldfordes □ • the main offeldfordes G3@05@0 Variable1 Table1 Variable3 Variable3 Variable5 Variable5 Variable5 Variable5 Variable1 II 0A_Transaction I210 III0		n რეფაქტირება ხეფა ინსტრუმენტები	n fogeddonfodu boges offidfordfoddodo n fogeddonfodu boges offidfordfoddododo Garabael Table1 Table1 Table2 Variable3 Variable5 Variable5 Variable6 Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Acco Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Acco Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Acco Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Acc	n fogeddonfodo bogeo offidfoddoddon n fogeddonfodo bogeo offidfoddoddoddo Sagebageo dofdoddoddo bobo Variable1 Table1 Variable2 Variable5 Variable5 Variable5 Variable6 OA_Transactior Account Account name Debit amount Currency 1210 gforg&grgeo 250 0 GEL III0 Bogeo grge 0 250 GEL	n fogsjobridsk bogsk obloffindeledoor n fogsjobridsk bogsk obloffindeledoor G3@stogon Variable1 Table1 Variable2 Variable3 Variable5 Variable5 Variable5 Variable6 Variable6 Variable6 Variable6 Variable7 Variable7 Variable8 Variable8 Variable8 Variable8 Variable9 Varia	n foguidonfolis bogsi oBlofridefologion n foguidonfolis bogsi oBlofridefologion Gargeogo Offidistigoni burbo Variable1 Table1 Table1 Variable2 Variable3 Variable5 Variable5 Variable6 Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Account", "1210") Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Account", "1210") Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Debit amount", 250) Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Account", "1110") Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Account", "1110") Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Credit amount", 250)	n fragesidonfolis togges networfsjölogon n fragesidonfolis togges networfsjölogon Nariable1 Tables Garewagen Variable2 Variable3 Variable4 Variable5 Variable5 Variable5 Variable5 Variable5 Variable6 Variable6 Variable7 Variable7 Variable8 Variable8 Variable8 Variable8 Variable8 Variable8 Variable9 Variab	n fogegorige osciptingelogies n fogegorige osciptingelogies Sector of the sector of	n monodominal bases monodotopologogo n monodotomical bases monodotopologogo Variable 1 Table 1 Variable 2 Variable 2 Variable 3 Variable 4 Variable 5 Variable 4 Variable 5 Variable 5 Variable 6 Variable 6 Variable 7 Variable 6 Variable 7 Variable 7 Va

როგორც ხედავთ ორივე გატარება დაემატა და შეივსო ჩვენს მიერ მითითებული მონაცემებით. ტრანზაქციას მივანიჭოთ დოკუმენტის ნომერი, რომ გატარებებში მარტივად ვიპოვოთ ჩვენს მიერ დაწერილი მაკროსით შესრულებული ოპერაცია. ამისთვის ბრძანების არეში მონიშნეთ ბოლო ცვლადი და ეკრანის მარჭვენა ნაწილში, ობიექტების სიიდან აირჩიეთ "BO_Transaction/TransactionDocumentNumber/Set".

0	-BO_Transaction
Θ	AddNew
ų,	- Amount
ų	AutoFillAmountAndOA_Currenc
Θ	-CorrectDisbalanceAndCheckPr
ų,	TransactionComment
ų,	TransactionDate
يو	TransactionDelay
ير	TransactionDocumentalConfirm
يو	TransactionDocumentNumber
يو	Get
ų	Set

გააკორექტირეთ დამატებული ბრძანება და მიუთითეთ დოკუმენტის ნომერი მაგალითად: "Cash 250". საბოლოოდ ტრანზაქცია რომ შესრულდეს და შენახული იქნას მონაცემთა ბაზაში, ობიექტების სიიდან აირჩიეთ "BO_Transaction/ Update". საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე:

	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	BO_Transaction.AddNew(ActiveDatabase , True)
2	Table1	-BO_Transaction.GetDataTableEntries()
3	Variable2	-Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Account", "1210")
4	Variable3	-Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Debit amount", 250)
5	Variable4	-Tables.AddNewRecord("Table1")
6	Variable5	-Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Account", "1110")
7	Variable6	-Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Credit amount", 250)
8	BO_Transaction.TransactionDocumentNumber	"Cash-250"
9	Variable7	BO_Transaction.Update(True, True)

შეინახეთ მაკროსი ღილაკით 📕 და დახურეთ ეკრანი.

შევასრულოთ ჩვენს მიერ დამატებული მაკროსი. გამოიძახეთ მენიუ "ამოცანები/ბუღალტერია/მაკრო ოპერაციები"

🚰 მავრო ოპერაციეზი 📃 🔳	×
- შემოსავლის დარიცხვის იმპორტი ექსელიდან	*
- POS ტერმინალის გადახდების იმპორტი ბანკიდან	
🕂 ბანკის ამონაწერის იმპორტი	
🗄 ხაზინა	
🕂 შემოსავლების სამსახური	
🕂 ხელფასი	Ξ
🖶 ოპერაციები ბალანსგარეშე ანგარიშებზე	
🖶 ბალანსის შედგენისთვის საჭირო მაკროსები	
თანხის შეტანა სალაროდან ბანკში	-

მაკრო ოპერაციების ჩამონათვალში გამოჩნდა ჩვენს მიერ დამატებული მაკროსი თანხის შეტანა სალაროდან ბანკში. ჩანაწერზე მაუსის დაჭერით შეასრულეთ ოპერაცია. ეკრანის ქვედა ნაწილში დაინახავთ , რომ სისტემა შეასრულებს მაკროსის შესაბამის საბუღალტრო გატარებებს

👔 მაკრო ოპერაკიები				- 0 -					
უონვერსია/კონვერტაცია									
- ხარჯის დარიცხვის იმპორტი ექსელიდან									
შემოსავლის დარიცხვის იმპორტი ექსელიდან									
- POS ტერმინალის გადახდების იმპორტი ბანკიდან									
🕆 ბანკის ამონაწერის იმპორტი									
🛞 ხაზინა									
მ შემოსავლების სამსახური									
🖲 ხელფასი									
ოპერაციები ბალანსგარეშე ანგარიშებზე									
🖲 ბალანსის შედგენისთვის საჭირო მაკროსები									
ს თანხის შეტანა სალაროდან ბანკში									
პერიოდი [01.01.2021 - 01.01.2022]									
გა დ აქვ ოპერაციის თარიღი დოკუმენტის ოპერაციის ტიპი	თანხა	32000	კომენტარი	^					
S 23.12.2021 22:30:05 Cash - 250	250.00	GEL							

იმისათვის რომ ვნახოთ რა გატარებები დაფორმირდა გააკორექტირეთ ჩანაწერი მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.

ენო 📎	ერაციის კორექ(ტირება								• X
	ოპერაციის 23.12.2021 22:30:05 🔲 🔻									ć
	დოკუმენტის	Cash - 250	ოპერა(ოპერაციის						
	კომენტარი									
D .	i 🗁 🗙 🛉 🖣	• [∞] :@• A ∰• ⊽•	sty - 📑 🔁		W A (🕒 ada				
	ანგარიში	ანგარიშის დასახელებ	ა <mark>დებეტი</mark> თანხა	კრედიტი თანხა	ვალუტ:	ღირებულების ცენტრი	დებეტი რაოდენობა	კრედიტი რაოდებობა	ერთელ	ღირებუდ ერთეულ
▶ 1	1210	ეროვნული ვალუტა რ.	250.00		GEL	საერთო ღი				საერთო დ
2	1110	ნაღდი ფული ეროვნუ.		250.00	GEL	საერთო ღი				საერთო დ
- ا										
2			250.00	250.00						
	1							შევინახოთ	,	უარი

იხილავთ მაკროსის მიერ შესრულებულ გატარებებს. დახურეთ ეკრანი.

მნიშვნელობების მოთხოვნა

ამგვარად შეგიძლიათ ააწყოთ მარტივი შაბლონური მაკროსები, თუმცა ასეთი ტიპის მაკროსებს აქვს უარყოფითი მხარეები. კერძოდ ის, რომ ფიქსირებულია თარიღი, დოკუმენტის ნომერი, ანგარიშები და თანხა და მათი შეცვლა მაკროსის შესრულების დროს არ არის შესაძლებელი. ახლა განვიხილოთ ისეთი ტიპის მაკროსი, სადაც შესაძლებელი იქნება თარიღის, დოკუმენტის ნომრის, ანგარიშების და თანხის მითითება. გახსენით ჩვენს მიერ დამატებული მაკროსი "MyMacro". თავდაპირველად დავამატოთ თარიღის მოთხოვნის ობიექტი. ამისათვის მონიშნეთ პირველივე ცვლადი Variable1 და ეკრანის მარჯვენა ნაწილში ობიექტების სიიდან აირჩიეთ Wizard object /Wizard ჩამოწიეთ სასრიალო ზოლი ქვევით და მაუსით ორჯერ დააწკაპეთ DateTimePicker-ზე



დაინახავთ რომ ფორმულების არეში დაემატება ჩანაწერი

	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	
▶ 2	Variable8	-Wizard.DateTimePicker(" ", 1, False, "", False)
3	Table1	-BO_Transaction.GetDataTableEntries()
4	Variable2	-Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Account", "1210")
5	Variable3	-Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Debit amount", 250)
6	Variable4	-Tables.AddNewRecord("Table1")
7	Variable5	-Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Account", "1110")
8	Variable6	-Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Credit amount", 250)
9	BO_Transaction.TransactionDocumentNumber	"Cash-250"
10	Variable7	BO_Transaction.Update(True, True)

ბრძანების ხაზში Wizard.DateTimePicker("", 1, False, "", False) ობიექტის პირველ პარამეტრში უნდა მიუთითოთ თარიღის მისათითებელი ველის დასახელება. მაგალითად "ოპერაციის თარიღი", ამისათვის გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი და შეიტანეთ მასში ცვლილებები. საბოლოოდ ბრძანებას ექნება შემდეგი სახე Wizard.DateTimePicker("ოპერაციის თარიღი", 1, False, "", False)

იმისათვის, რომ მაკროსის შესრულების დროს ეკრანზე იხილოთ თარიღის მოთხოვნის ველი, აუცილებელია დავწეროთ მაკროსის ობიექტების ეკრანზე გამოტანის ბრძანება. ამისათვის, ფორმულების არეში მონიშნეთ ცვლადი Variable8 და ეკრანის მარჯვენა ნაწილში, სისტემის მიერ გამზადებული ობიექტების ჩამონათვალში აირჩიეთ Wizard object/Wizard/ 🔀 ShowWizard. საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე:



გავუშვათ მაკროსი შესრულებაზე ღილაკით ▶ 🛛 იხილავთ ეკრანს 🔅

길 მაკროსი (თან	ბის შეტანა სალა	როდან ბანკში)	
ოპერაციის თარ 27.12.2021	იიღი 		
		OK	შევწყვიტოთ

როგორც ხედავთ უკვე შესაძლებელია თარიღის მითითება. შეწყვიტეთ ოპერაცია და გავაგრძელოთ მაკროსის წერა ტრანზაქციის შესასრულებლად საჭირო სხვა ობიექტების დასამატებლად.

თარიღის შემდეგ მოვითხოვოთ დოკუმენტის ნომრის მისათითებელი ველი. ამისათვის, ბრძანების არეში მონიშნეთ ცვლადი Variable8 და ობიექტების სიიდან აირჩიეთ Wizard object/Wizard/ TextBox. დაემატება ცვლადი Variable9. ბრძანების ხაზში Wizard.TextBox("", 1, "", False, False, "") პირველ პარამეტრში მიუთითეთ დოკუმენტის ნომრის ველის დასახელება "დოკუმენტის ნომერი".

მომდევნო ობიექტი იყოს თანხის ველი. ამისათვის აირჩიეთ Wizard object/Wizard/ Amount. დაემატება ცვლადი Variable11. გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი Wizard.Amount("", 1, 0, False, False, False) და პირველ პარამეტრებში მიუთითეთ "თანხა".

მაკროსში დავამატოთ ანგარიშების ასარჩევი ობიექტები. ჩვენს შემთხვევაში გვჭირდება ორი ანგარიში. ამისათვის მონიშნეთ ცვლადი Variable11 და ობიექტების სიიდან აირჩიეთ Wizard object/Wizard/ Account. გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი Wizard.Account("", 1, "", "", False, False) და პირველ პარამეტრში მიუთითეთ ველის დასახელება "სალაროს ანგარიში". ბრძანებას ექნება შემდეგი სახე Wizard.Account("სალაროს ანგარიში", 1, "", "", False, False). იგივენაირად დაამატეთ ბანკის ანგარიშის ასარჩევი ობიექტი. საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე:



ვნახოთ როგორ ხდება ცვლადების გამოყენება ბრძანებებში. კერძოდ ჩვენს მიერ დამატებული ობიექტების შესაბამისი ცვლადები გამოვიყენოთ გატარებების დამატების ბრძანებებში. გააკორექტირეთ ცვლადის Variable2 შესაბამისი ბრძანების ხაზი და "1210"-ის ნაცვლად მიუთითეთ ბანკის ანგარიშის მოთხოვნის ცვლადი Variable13.

10		
12		BO_TTAnsaction.GetDataTableEntries()
▶20	Variable2	- Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Account", Variable13)
21	Variables	Tables.BerField value("Table1", 1, "Debit anount", 200)
22	Variable4	Tables.AddNewRecord("Table1")
23	Variable5	Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Account", "1110")
24	Variable6	-Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Credit amount", 250)

ამის მსგავსად ცვლადის Variable5 შესაბამის ბრძანებაში "1110" ჩაანაცვლეთ Variable12-ით. ბრძანებას ექნება შემდეგი სახე: Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Account", Variable12).

ცვლადების Variable3 და Variable6 შესაბამის ბრძანებებში 250-ის ნაცვლად მიუთითეთ თანხის მოთხოვნის ცვლადი Variable11. ხოლო ტრანზაქციაში დოკუმენტის ნომრის მინიჭების ცვლადს BO_Transaction.TransactionDocumentNumber ბრძანების ხაზში "Cash - 250" ნაცვლად მიუთითეთ ცვლადი Variable9. მაკროსში დავამატოთ ოპერაციის კომენტარის მოთხოვნის ობიექტი. ამისათვის მონიშნეთ ცვლადი Variable13 და ეკრანის მარჯვენა ნაწილში ობიექტების სიიდან აირჩიეთ Wizard object/Wizard/ Comments. დაემატება ცვლადი Variable14. ბრძანების ხაზში პირველ პარამეტრში მიუთითეთ კომენტარის ველის დასახელება- "ოპერაციის კომენტარი". ბრძანებას ექნება შემდეგი სახე: Wizard.Comments("ოპერაციის კომენტარი", 1, "", "", False, False). იმისათვის რომ, ჩვენს მიერ დამატებული მაკროსის შესრულების დროს ტრანზაქციას მიენიჭოს ცვლადის Variable14 (ოპერაციის კომენტარი) მნიშვნელობა, ბრძანების არეში მონიშნეთ ცვლადი BO_Transaction.TransactionDocumentNumber და ეკრანის მარჯვენა ნაწილში, ობიექტების სიიდან აირჩიეთ "Business object/BO_Transaction/TransactionComment/Set". გააკორექტირეთ ახალდამატებული ცვლადის ბრძანების ხაზი და მიუთითეთ Variable14 საბოლოოდ მაკროსს ექნება შემდეგი სახე:

	ცვლადი	ბრძანების ხაზი
1	Variable1	BO_Transaction.AddNew(ActiveDatabase , True)
2	Variable8	-Wizard.DateTimePicker("ოპერაციის თარიღი", 1, False, "", False)
3	Variable9	-Wizard.TextBox("დოკუმენტის ნომერი", 1, "", False, False, "")
4	Variable11	-Wizard.Amount("თანხა", 1, 0, False, False, False)
5	Variable12	-Wizard.Account("სალაროს ანგარიში", 1, "", "", False, False)
6	Variable13	-Wizard.Account("ბანკის ანგარიში", 1, "", "", False, False)
7	Variable14	-Wizard.Comments("ოპერაციის კომენტარი", 1, "", "", False, False)
8	WizardPage	-0
9		□- Do
10	RetValue	-Wizard.ShowWizard(WizardPage, True, 500, 290)
11		- Select Case RetValue
12		- Case "1-2"
13	Variable10	
14		- Case "Finish"
15		exit do
16		- Case "Cancel"
17		Halt
18		- End Select
19		Loop
20	Table1	-BO_Transaction.GetDataTableEntries()
21	Variable2	-Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Account", Variable13)
22	Variable3	-Tables.SetFieldValue("Table1", 1, "Debit amount", Variable11)
23	Variable4	-Tables.AddNewRecord("Table1")
24	Variable5	-Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Account", Variable12)
25	Variable6	-Tables.SetFieldValue("Table1", 2, "Credit amount", Variable11)
26	BO_Transaction.TransactionDocumentNumber	-Variable9
▶27	BO_Transaction.TransactionComment	-Variable14
28	Variable7	BO_Transaction.Update(True, True)

შეინახეთ მაკროსი ღილაკით 📕 და დახურეთ ეკრანი.

შევასრულოთ ჩვენს მიერ დამატებული მაკროსი. გამოიძახეთ მენიუ "ამოცანები/ბუღალტერია/მაკრო ოპერაციები/თანხის შეტანა სალაროდან ბანკში". გამოსულ ეკრანში მიუთითეთ: თარიღი, დოკუმენტის ნომერი, თანხა, კომენტარი და ანგარიშები

📜 მაკროსი (თანხის	ა შეტანა სალაროდან ბანკში) 📃 🔲 🔀								
ოპერაციის თარიღ	20								
28.12.2021									
დოკუმენტის ნომე	რი								
გ/ო 555									
თანხა									
	300								
სალაროს ანგარიშ	D								
1110	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში								
ბანკის ანგარიში									
1210	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში								
ოპერაციის კომენ	ეარი								
სალაროდან ბანკში	სალაროდან ბანკში თანხის შეტანა 📃								
	OK შევწყვიტოთ								

ოპერაციის დასასრულებლად დააჭირეთ ღილაკს "OK". ეკრანის ქვედა ნაწილში დაემატება მაკროსის შესაბამისი საბუღალტრო გატარებები

ĺ	მაკრ	იო ოპ	ირაციები							
	🖶 ხელფასი									*
E	- ოპ	ერა(ვიები ბალანსგარეშე ა	^ნ გარიშებზე						
E	- ბაი	ლანს	აის შედგენისთვის საქ	} ირო მაკროსებ	0					=
	ത	ანზი	ის შეტანა სალაროდ	ან ბანკში						*
3	ერიი . დ	აქვ	[01.01.2021 - 01.01.2022 ოპერაციის თარიღი] დოკუმენტის	ოპერაციის ტიპი	თანხა		ვალუტ	კომენტარი	
	Q	<u>~~</u>	23.12.2021 22:30:05	Cash - 250		25	0.00	GEL		
			28.12.2021 22:14:49	გ/ო 555		30	0.00	GEL	სალაროდან ბანკში თანხის შეტანა	
•				III						

იმისათვის რომ ვნახოთ რა გატარებები დაფორმირდა გააკორექტირეთ ჩანაწერი მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.

Ø	🖉 ოპერაციის კორექტირება 📃 📃 💻 🌌											
	ოპერაციის 28.12.2021 22:14:49 🗐 🔻								71			
		დოკუმენტის	გ/ო	555	ოპერაც	კიის						
		კომენტარი	სალ	აროდან ბანკში თანხის შეც	<u> </u>							
[3 🔒	🗁 🗙 🗈 🕴	1 🖉	i 🗃 • 🛤 👌 • 🖓 • 🖬	<mark>a - 📑 Z</mark>	1 @ M #	W 🕮 🕻	E adia				
	ანგარიში ანგა		ანგარიშის დასახელება	დებეტი თანხა	კრედიტი თანხა	ვალუტ:	ღირებულების ცენტრი	დებეტი რაოდენობა	კრედიტი რაოდებობა	ერთეუ	ღირებჯ ერთეუ	
	+ 1	1210		ეროვნული ვალუტა რ	300.00		GEL	საერთო ღი				საერთი
	2	1110		ნაღდი ფული ეროვნუ		300.00	GEL	საერთო ღი				საერთი
F	2				300.00	300.00						
	🖲 🖉									io		

დახურეთ ეკრანი.

რეპორტების აწყობა

სისტემაში შესაძლებელია სხვადასხვა რეპორტების (უწყისი, ფორმა) აწყობა. ახლა განვიხილოთ თუ როგორ დავაფორმირებინოთ ჩვენს მიერ დამატებულ მაკროსს ტრანზაქციის შესრულებასთან ერთად რეპორტი, ჩვენს შემთხვევაში სალაროს გასავლის მარტივი ფორმა. გახსენით ჩვენს მიერ დამატებული მაკროსი "MyMacro". მონიშნეთ ბოლო ცვლადი და ეკრანის მარჯვენა მხარეს არსებულ ობიექტების სიიდან აირჩიეთ Report object / Report/ShowDesigner მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით.



დაემატება ჩანაწერი



ყურადღება მიაქციეთ, რომ მაკროსიდან რეპორტის აწყობის დროს შესაძლებელია გამოვიყენოთ მაკროსში არსებული ცვლადები, რომლებიც რეპორტს პარამეტრებად გადაეცემა. ამიტომ სანამ უშუალოდ რეპორტის აწყობაზე გადავიდოდეთ გაუშვით მაკროსი შესრულებაზე (არ დაასრულოთ, შეწყვიტეთ ოპერაცია) რომ დავაფორმიროთ ცვლადები. რეპორტის ასაწყობი ინსტრუმენტის გამოსაძახებლად მაუსით ორჯერ დააწკაპეთ ცვლადის Report1 შესაბამის ბრძანების ხაზს Report.ShowDesigner(). იხილავთ რეპორტის დიზაინერის ეკრანს, რომელიც შედგება სტანდარტული მახასიათებლებისგან.

🖌 Report Designer	
File Edit View Format Window	
🗌 🗁 💾 🛃 🔏 🗍 🤚 🐟 🎓 🔹 🛛 Times New Roman 🔻 9.75 🔻 B I U	· 👳 · 🖹 포 프 프 🗸
XTakeporti X	- Report Explorer
× 1 · · · 1 · · · · · · · · · · · · · ·	
	- Detail
a	BottomMargin
	Styles
A	M Formatting Rules
	the second s
	🔓 Report Explorer 🛛 🔄 Field List
	Property Grid 🗖 🕸 🗙
o	XtraReport1 Report
	Annearance
	Background Col
👷 Designer 👘 😥 Preview 🧐 HTML View 📎 Scripts 🛛 XtraReport1 { PaperKind: Letter }	Border Color Black
Group and Sort	# × Border Dash Sty Solid
🕋 🔓 Add a Group 🔻 🗏 Add a Sort 🗝 💥 Delete 🛛 🙆 Move Up 🛞 Move Down	Border Width 1
Eiald Name Sort Order Show Header Show Easter	Borders None
sort of der Show Header Show Pooler	► Font Times New Roman,
	Foreground Coli Black
Σ	
Group and Sort	

ავაწყოთ მარტივი რეპორტი. ეკრანის მარცხენა მხარეს აირჩიეთ ღილაკი 🔺 (label) და მაუსი დააწკაპეთ ეკრანზე.



გააკორექტირეთ "label1" მასზე მაუსის ორჯერ დაწკაპებით და ჩაწერეთ - "სალაროს გასავლის ორდერი N". იმისათვის რომ ჩვენს მიერ შეტანილი მნიშვნელობა გამოჩნდეს სრულად გაზარდეთ დასმული ობიექტის ზომა. კურსორი მიიყვანეთ ოთხკუთხედის მარჯვენა გვერდზე მოთავსებულ წერტილთან. როდესაც კურსორი შეიცვლის ფორმას და მიიღებს ორმხრივი ისრის სახეს, დააჭირეთ მაუსის მარცხენა ღილაკს და ხელის აუღებლად ამოძრავეთ მაუსი, სანამ არ მიიღებთ სასურველი ზომის ფიგურას.



ამის მსგავსად დავამატოთ თარიღი, თანხა და კომენტარი. იმისათვის რომ ობიექტები თავისუფლად განალაგოთ ეკრანზე, მიიყვანეთ მაუსი Detail-ის ზემოთ არსებულ მუქი ფერის ხაზთან

T	🔻 🗉 Detail							

და მასზე მაუსის დაჭერით როგორც კი კურსორი შეიცვლის ფორმას ჩამოწიეთ ქვევით. აღნიშნული ღილაკის 🔺 (label) გამოყენებით დაამატეთ დანარჩენი ველებიც

	სალაროს გასავლის ორდერი N	
	თარიღი	
	თანხა	
	კომენტარი	
🔻 🗐 Detail		Ť

ვნახოთ, თუ როგორი სახე ექნება ჩვენს მიერ აწყობილ ფორმას. ეკრანის ქვედა ნაწილში აირჩიეთ Preview

X Report Designer	Ward Staffan Highland	and happen in Frank . Frank	
<u>F</u> ile <u>E</u> dit <u>V</u> iew Fo <u>r</u> mat <u>W</u> indow			
	Times New Roman 🔻 9.75 🔻 B		-
······································		🗱 📴 🐁 🐂 🗸 🔍 100%	• • •
XtraReport1* ×			
	2 3	4 1 5 1 6 .	7
	სალაროს გასავლის ორდერი I	N	
2 1 συδδυ			
კომენტარი			
■ ■ ■ ■ Detail			
Designer 🖟 Preview 🖓 HTML View	😡 Scripts 🔰 TopMargin { Height:201.0417	1}	100% 😑
Group and Sort			

იხილავთ ეკრანს

სალაროს გასავლის ორდერი N
თარიღი
თანხა
კომენტარი

ფორმაში ჩვენს მიერ დაწერილი მაკროსიდან გავიტანოთ დოკუმენტის ნომრის, თანხის და კომენტარის ცვლადების შესაბამისის მნიშვნელობები. ამისათვის დაბრუნდით დიზაინის

ეკრანში მაუსის 🏼 🥬 Designer -ზე დაჭერით. ეკრანის მარჯვენა ნაწილში მონიშნეთ FieldList

💥 Repo	ort Designer		and the local division of the local division	
<u> </u>	<u>E</u> dit <u>V</u> iev	v Fo <u>r</u> mat	Window	*
	🗁 🗄 🗗	* •	🛅 🖘 🔶 ▼ Times New Roman ▼ 9.75 ▼ B I <u>U</u> <u>A</u> ▼ 🕸 ▼ 三 Ξ Ξ Ξ ▼	
			■ □ 幸 臣 醫 ● 邦 邦 邦 吉 壬 壬 ギ ギ 圖 国 『 『 』 ● ◎ 100% ▼ ◎ ▼	
=	XtraReport1*	×	Ψ	Report Explorer 🗖 📮 🗙
	Í			→ 🔁 XtraReport1
_	<u>a</u> 1 ·			- TopMargin
\mathbf{A}				A label1
			სალაროს გასავლის ორდერი N	
				A label3
A			თარიღი	🗉 Detail
				BottomMargin
70			თანხა	Styles -
	-			Preport Explorer
			კომენტარი	Property Grid 🗖 🖡 🗙
	2 1 -			TopMargin Top Margin 🔹
	対 Designer	😡 Previe	v 🤣 HTML View 🛛 Scripts 🛛 TopMargin { Height:201.0417 } 100% 😑 🚽 🕂	

და ჩამოშალეთ Parameters მის წინ არსებულ პატარა შავ ისარზე მაუსის დაჭერით



იხილავთ ყველა იმ ცვლადის ჩამონათვალს, რომელიც გამოყენებულია მაკროსში. იმისათვის რომ რეპორტში სალაროს გასავლის ორდერის N-ის გასწვრივ ავტომატურად დაიწეროს მაკროსი "MyMacro" შესრულების დროს მითითებული დოკუმენტის ნომერი, აირჩიეთ Parameters/ Variable9 (დოკუმენტის ნომრის ცვლადი), მასზე მაუსის დაჭერით და მაუსის ღილაკზე ხელის აუღებლად გადმოიტანეთ ცვლადი და დასვით "სალაროს გასავლის ორდერის N" გვერდით.

XtraReport1	* X			
a 1.				4 1 5
- > -			სალაროს გასავლის ორდერი N	[Parameters.Va
- - -		თარიღი		
1		კომენტარი		
- -				

ამის მსგავსად თარიღის გვერდით გადმოიტანეთ ცვლადი Variable8, თანხის გვერდით ცვლადი- Variable11, ხოლო კომენტარის გვერდით - Variable14. საბოლოოდ ფორმას ექნება შემდეგი სახე

XtraReport1	* x				
			1	4	5
			სალაროს გასავლის ორდერი N	[Parameters.Vana]	
-					
1		თარიღი	[Parameters.Va		
- 1					
		თანხა	[Parameters.Va		
-					
		კომენტარი	[Parameters.Variable14]	9	

რეპორტის შესანახად დააჭირეთ ღილაკს 💾 .

X	Repo	ort Desig	ner	-									-				-			-			
	<u>F</u> ile	<u>E</u> dit	<u>V</u> iew	Forn	nat	<u>W</u> inc	low																
11			0	X		D.		-	Times Ne	w Romar	•	9.75	•	B	T <u>U</u>	A	- 🕹	• E	Ξ	∃ ∎	-		
	2 2				0]}	0		Q	+ . +	에 이	¢ ,¢	봅	8, 8	ŝ, e	* 00		5		Q	100%	•	Ð	-

დახურეთ ფორმა.

იმისათვის , რომ მაკროსის შესრულების დროს ჩვენს მიერ აწყობილი რეპორტი დავაფორმიროთ და ეკრანზე გამოვიტანოთ, მაკროსის ბრძანებების არეში მონიშნეთ ბოლო ცვლადი Report1. ეკრანის მარჯვენა ნაწილში ობიექტების სიიდან აირჩიეთ Report object / Report/ Preview მასზე მაუსის ორჯერ დაჭერით. გააკორექტირეთ ბრძანების ხაზი Report.Preview("") და ორმაგ აპოსტროფებში მიუთითეთ ცვლადი Report1

29	Report1	-Report.ShowDesigner()
30		Report.Preview("Report1")

შეინახეთ მაკროსი.

შევასრულოთ ჩვენს მიერ დამატებული მაკროსი. გამოიძახეთ მენიუ "ამოცანები/ბუღალტერია/მაკრო ოპერაციები/თანხის შეტანა სალაროდან ბანკში" და შეავსეთ ეკრანის ველები

🔰 მაკროსი (თანბის შ	მეტანა სალაროდან ბანკში) 📃 🔲 🔀
ოპერაციის თარიღი	
29.12.2021	■ ▼
დოკუმენტის ნომერ	0
555-1	
თანხა	
5	500
სალაროს ანგარიში	
1110 [ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში
ბანკის ანგარიში	
1210 [ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში
ოპერაციის კომენტა	რი
სალაროდან ბანკში თ	იანხის შეტანა
	OK შევწყვიტოთ

ოპერაციის დასრულების შემდეგ ეკრანზე იხილავთ ჩვენს მიერ აწყობილ რეპორტს

Dig Preview		x
File View Background		-
	🖄 🔓 🕶 🔽 🔻 🕺 👻	
სალაროს გასავლის ორდერი N 555-1		Î
თარიღი 12/29/2022 8:48:01 AM		
თანხა 500		
კომენტარი სალაროდან ბანკში თანხის შეტანა		·
4		F
Page1 of 1	100% 😑 📃	\oplus